ოქმი:**ო37. 3724361001**

თარიღი:**26/12/2024**

ოქმი N 29

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2024 წელი, 26
დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

13.00- 13.30 -საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ბ. თოიძე, ნ. ჭანიშვილი, ქ. დ. ჭაკნელიძე, მ. ჩხიკვიშვილი, გ. ჩავლეშვილი, ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 7 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელმა ლავრენტი ბიგვავამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, მომართა მუნიციპალიტეტის მერმა ავ.თალაკვაძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე და წარმოადგინა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რომლის შემუშავება განაპირობა ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების შემოსვლამ, შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი. ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას (გ.ჩავლეშვილი) დაევალა პროექტის განხილვა და დასკვნის წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

საკითხი შეტანილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი